პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 148 (18390) პარასკევი, 25 ივნისი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

საქმეებ გამოარჩინა

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი „ხაბჭოთა საქართველო" რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი წამყვანი საწარმოა. კომბინატში მრავალი მუშაა, რომლებიც გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. მოწინავეთა შორის არის მაუდსართავი წარმოების მრთველი, შრომის დიდების ორდენოსანი, კომუნისტი თამარ კაკენაძე, რომელიც ყოველთვიურ გეგმებს 120-125 პროცენტით ასრულებს. თამარმა გასული წლის გეგმა-დავალება ნოემბერში შეასრულა, ახლა კი მიმდინარე წლის აგვისტოს ანგარიშში შრომობს.

სურათზე: თ. კაკენაძე.
მ. როსტომაშვილის ფოტო.

ცნობა საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ

მონაცემები არჩევნების შედეგების შესახებ ქვეყნდება იმ მასალების მიხედვით, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისაგან

კვირას, 1982 წლის 20 ივნისს, გაიმართა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების არჩევნები.

საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის დადგენილების განხორციელებლად, სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისა და 1982 წლის, მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის მშრომელთა ბრძოლის ნიშნით.

დიდი მამობილიზებელი მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმზე, პლენუმის მიერ მიღებულ ქვეყნის სასურსათო პროგრამას, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სპეციალური სესიისადმი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიმართვას.

რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს მრავალმხრივ, ნაყოფიერ მოღვაწეობას სოციალისტური ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

არჩევნებმა ყველგან ორგანიზებულად, ამომრჩეველთა მაღალი აქტიურობით ჩაიარა, გადაიქცა სოციალისტური დემოკრატიის ჭეშმარიტ ზეიმად, კიდევ ერთხელ დაბეჯითებით ცხადყო რესპუბლიკის მშრომელთა მაღალი პოლიტიკური შეგნება, ლენინური პარტიის გარშემო მათი მონოლითური შეკავშირება.

საარჩევნო კრებებზე მშრომელები ყოველმხრივ იხილავდნენ დეპუტატობის კანდიდატთა პოლიტიკურ, საქმიან და პირად თვისებებს, აძლევდნენ მათ განაწესებს, გამოთქვამდნენ კრიტიკულ შენიშვნებს და წინადადებებს სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე.

არჩევნებისათვის მზადებასა და მოწყობაში უშუალოდ მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შრომითი კოლექტივები.

არჩევნებისათვის მზადება და თვით არჩევნები მიმდინარეობდა საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ კანონის შესაბამისად.

ყველა 8.157 საარჩევნო უბანში კენჭისყრა დაიწყო დილის 6 საათზე და დამთავრდა საღამოს 10 საათზე.

არჩეულია სახალხო დეპუტატთა ერთი საოლქო, 65 რაიონული, 57 საქალაქო, ქალაქების 11 რაიონული, 51 სადაბო და 938 სასოფლო საბჭოს დეპუტატები.

არჩევნების მოსაწყობად შექმნილი იყო 50.646 საარჩევნო ოლქი, მათ შორის: სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს — 140, რაიონული საბჭოების — 5.477, საქალაქო საბჭოების — 6.150, ქალაქების რაიონული საბჭოების — 2.054, სადაბო საბჭოების — 2.601 და სასოფლო საბჭოების — 34.224 საარჩევნო ოლქი. რაიონული საბჭოს არჩევნების ერთ საარჩევნო ოლქში და სასოფლო საბჭოების არჩევნების ორ საარჩევნო ოლქში არჩევნები არ გამართულა დეპუტატობის კანდიდატთა გარდაცვალების გამო.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში ამომრჩეველთა მონაწილეობა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

საბჭოები	სულ ამომრჩეველი	არჩევნებში მონაწილეობდა	პროცენტობით
საოლქო	61.226	61.223	99,99
რაიონული	1.890.185	1.889.910	99,99
საქალაქო	1.751.609	1.751.565	99,99
ქალაქების რაიონული	841.548	841.528	99,99
სადაბო	169.558	169.555	99,99
სასოფლო	1.496.565	1.496.440	99,99

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგები:

საბჭოები	დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა: აბსოლუტური ციფრი	პროცენტი	დეპუტატობის კანდიდატების წინააღმდეგ მიცემული ხმების რიცხვი	ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვი	არჩეულია დეპუტატი
საოლქო	61.211	99,98	12	—	140
რაიონული	1.889.880	99,99	29	1	5.476
საქალაქო	1.751.481	99,99	184	—	6.150
ქალაქების რაიონული	841.480	99,99	48	—	2.054
სადაბო	169.521	99,98	34	—	2.601
სასოფლო	1.496.303	99,99	137	—	34.222

სახალხო დეპუტატთა ყველა ადგილობრივ საბჭოში არჩეულია 50.643 დეპუტატი, მათ შორის: მამაკაცი — 25.240, ანუ 49,8 პროცენტი, ქალი — 25.403, ანუ 50,2 პროცენტი, სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი — 21.560, ანუ 42,6 პროცენტი, უპარტიო — 29.083, ანუ 57,4 პროცენტი, მუშა — 20.041, ანუ 39,6 პროცენტი, კოლმეურნე — 14.739, ანუ 29,1 პროცენტი, 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა — 16.868, ანუ 33,3 პროცენტი, სრულიად საკავშირო ალკკ წევრი — 11.209, ანუ 22,1 პროცენტი.

28.465 დეპუტატი, ანუ 56,2 პროცენტი არ იყო გასული მოწვევის დეპუტატი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

ნოღაეთის „ივერია"

სამი შეკითხვა ყიზლარის ზამთრის საძოვრების გაერთიანების თავმჯდომარეს რ. აბაშიძეს

[illegible]

რესპუბლიკურ თათბირ-სემინარზე

[illegible]

პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის შესახებ

[illegible]

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მე-60 წლისთავი

აყვავებული მთიანი მხარე

ფ. ს. სანაკოევი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი

[illegible]

ჯილდოების გადაცემა

[illegible]

ორდენი ინსტიტუტის დროშაზე

[illegible]



სურათზე: ინსტიტუტის სასწავლო კორპუსი.
[illegible]

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მზადება მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომი სრულყოფის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ეტაპია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გ. ნ. ენუქიძის მოხსენება იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირ-სემინარზე

ჩვენი თათბირ-სემინარის თემა ასეა ჩამოყალიბებული: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა მიხედვით „მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების საკითხები".

ამგვარად, სემინარის მუშაობა უნდა განვიხილოთ იმ ღონისძიებათა საერთო კონტექსტით, რომელთა მიზანია ერთაშორისი ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება, ერთა და ეროვნებათა აყვავების პროცესებისა და ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე — ეკონომიკასა და პოლიტიკაზე, იდეოლოგიასა და მორალზე, კულტურასა და ყოფაცხოვრებაზე დასახელებული ფაქტორების კეთილმყოფელი გავლენის განვითარება.

აღმზრდელობითი მუშაობის აქტუალური პრობლემები მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ საერთო პოლიტიკურ, ორგანიზაციულ, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს, როგორც ეს ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, როცა თავის შესავალ სიტყვაში განსაზღვრა ჩვენი სემინარის ამოცანები, ჩვენი მუშაობის აზრი და შინაარსი.

ბუნებრივია, ასეთი მასშტაბური ამოცანის გადაწყვეტას კომპლექსურად ვუდგებით, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეტაპობრივად და მიზანდასახულად ვავითარებდით მუშაობას ამ მიმართულებით მთელი ათწლეულის მანძილზე, 1972 წლიდან მოყოლებული, — მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო რესპუბლიკისათვის ისტორიული დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ.

რაც უფრო მასშტაბურია კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, მით უფრო მჭიდროა შრომითი ურთიერთობა, მით უფრო მაღალია — ეროვნული კუთვნილების მიუხედავად — ინტერნაციონალისტური პასუხისმგებლობა საერთო საქმისათვის. და ყოველი ადგილობრივი ინიციატივა სავსებით უნდა შეესაბამებოდეს საერთო-სახელმწიფო ინტერესებს.

ეს ავალებს პარტიულ კომიტეტებს, პროფკავშირულ, კომკავშირულ, სამეურნეო ორგანიზაციებსა და პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფის სამსახურებს საქმიანობის ყოველ უბანზე განუვითარონ ადამიანებს ჩვენი საერთო საქმეებისათვის ზრუნვის გრძნობა, მტკიცედ იბრძოლონ ისეთი საკითხების გადაწყვეტისათვის, რომლებიც **რესპუბლიკისა და მთელი ქვეყნის საარსებო ინტერესებს შეესაბამება.**

ეს მოთხოვნები ზუსტად გამოხატავს ჩვენი ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს დემოკრატიულ და ინტერნაციონალისტურ ბუნებას. ასეთ ერთიანობაში უფრო სრულად ვლინდება თავისუფალი და თანასწორუფლებიანი რესპუბლიკების შემოქმედებითი ძალები.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების მიღება ზრდის მათი სახელმწიფო ორგანოების როლს სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებში, მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოების გაზრდაში, ადგილობრივ და ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით ვაჭრობისა და მოსახლეობის მომსახურების გაფართოებაში.

მთელმა გამოცდილებამ, რომელიც პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების პროცესში შევიძინეთ, კიდევ ერთხელ დამაჯერებლად ცხადყო, რომ პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობაში პარტიული კურსიდან გადახვევას, სხვადასხვაგვარი ანტიპოდური მოვლენების გაჩენას, აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზმის მართვაში ლენინური ნორმების დარღვევას, როგორც წესი, თან ახლდა ისეთი ანომალიები, როგორიც არის კუთხურობა, ეროვნული კარჩაკეტილობა, ეროვნული განსაკუთრებულობის მანკიერი იდეები.

ამ გამოცდილებამ ცხადყო აგრეთვე, რომ მომწიფებული სოციალიზმის საზოგადოებაში ნაყოფიერი და პროდუქტიულია მხოლოდ ინტერნაციონალიზმი და ყველა ერისა და ეროვნების მოთხოვნილებების პატივისცემა, მხოლოდ ურთიერთმხარდაჭერისა და ურთიერთგაგების ვითარება.

ჟურნალ „ვოპროსი ფილოსოფიიში" გამოქვეყნებულ სტატიაში ე. ა. შევარდნაძე აღნიშნავს, რომ „ბურჟუაზიული იდეოლოგები დღეს ამაოდ ცდილობენ ახსნან ოქტომბრის რევოლუცია, როგორც წმინდა რუსული მოვლენა. დიახ, ეს მართლაც რუსული მოვლენაა იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ დიდი რუსი ხალხი ჩაუდგა სათავეში რუსეთის მშრომელთა ბრძოლას სოციალური განთავისუფლებისათვის. მაგრამ ამავე დროს წარმოადგინონ ჩვენი რევოლუცია როგორც მოვლენა, რომელიც მხოლოდ ერთი ხალხის ინტერესებს ეხება, გაუმართლებლად შეავიწროონ მისი ფარგლები ეროვნული ჩარჩოებით, როგორც შერებიან ამას ზოგ-ზოგები დასავლეთში, ნიშნავს დააკნინო დიდი ოქტომბრის მსოფლიო-ისტორიული როლი და მნიშვნელობა. ყოველი საბჭოთა რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს გამოცდილება მოწმობს, რომ მშრომელი ხალხის სოციალური განთავისუფლების გარეშე არ არის და არც შეიძლება იყოს ნამდვილი ეროვნული თავისუფლება.

ჩვენი რევოლუცია ყველა იმ ერისა და ეროვნების მშრომელთა ლვიძლი საქმე იყო, რომლებიც მრავალეროვანი რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდნენ და რომლებმაც ნებაყოფლობით გაიზიარეს რუსი ხალხის ისტორიული ბედი. მათთვის 1917 წელი ისეთივე დიდი გარდაქმნების დასაწყისი იყო, როგორც თვით რუსეთისათვის...."

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ რუსეთში და ამის შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ დიდი სოციალური პერსპექტივები გადაუშალა ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხებსაც. კარგად თქვა ამის შესახებ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თბილისში გამართულ საზეიმო სხდომაზე გამოსვლისას: „ძნელი იყო საქართველოს ისტორიული სვებედი. საუკუნეთა მანძილზე განიცდიდა იგი უცხოელ დამპყრობთა შემოსევებს, რომლებიც აჩანაგებდნენ ქვეყანას, მაგრამ თქვენი წინაპრების თაობები კავკასიონის კლდესავით მტკიცენი აღმოჩნდნენ. მათ დაიცვეს დამოუკიდებლობა, შექმნეს და შეინარჩუნეს თავისთავადი, მრავალმხრივ უნიკალური ეროვნული კულტურა. ამაში სასიკეთო როლი შეასრულა რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითმა შეერთებამაც, დიდ რუს ხალხთან მეგობრობამ, საუკუნეთა მანძილზე რომ ღრმავდებოდა". და შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა: „სოციალიზმმა საქართველოს ნამდვილი თავისუფლება მოუტანა, გამოაღვიძა მისი ხალხის წიაღში მთლემარე შემოქმედებითი ძალები".

ფედერაციული სახელმწიფო მშენებლობის გამოცდილებამ ცხადყო, რომ სსრ კავშირი მრავალეროვანი სახელმწიფოს მოწყობის ყველაზე ცხოველუნარიანი და სრულყოფილი ფორმაა, რომელიც ჰარმონიულად უხამებს ერთმანეთს მთელი საზოგადოების ინტერესებსა და თითოეული ეროვნების ინტერესებს.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის პროცესში ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი, რომელიც შედუღაბებულია **იდეოლოგიის, ისტორიული ბედის, სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების, ძირეული ინტერესებისა და მიზნების, სოციალისტური კულტურის ერთიანობით, თითოეული ეროვნული კულტურის ნამდვილ ღირებულებებს რომ მოიცავს.**

თუ ცნობილ ფაქტებს ლოგიკური თანამიმდევრობით ჩამოვაყალიბებთ, საბჭოთა საქართველოს ღვევანდელობის მაგალითით შეგვიძლია თვალსაჩინოდ და მჭევრმეტყველურად ცხადვყოთ, რა მოაქვს საბჭოთა ადამიანებისათვის ინტერნაციონალურ ერთობას, ან, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხატოვანი გამოთქმით, ქმედითს ინტერნაციონალიზმს.

მისი ყველაზე განმაზოგადებელი და ნათელი გამოვლინებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის უკანასკნელი წლების ყველა დადგენილება, რომლებიც განმსჭვალულია ინტერნაციონალისტური, პარტიული ზრუნვით საქართველოს რესპუბლიკის, მისი ყველა რეგიონის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი დაჩქარებული განვითარებისათვის.

სწორედ ლენინურმა ინტერნაციონალურმა პოლიტიკამ განაპირობა ეროვნული სიმდიდრის ზრდა რესპუბლიკებს შორის სამეურნეო ურთიერთობის გაფართოების გზით. ყველა მოკავშირე რესპუბლიკის 100 დარგი უგზავნის თავის ნაწარმს საქართველოს; მოძმე რესპუბლიკების 82 დარგი იღებს საქართველოს სს რესპუბლიკის მარკიან პროდუქციას.

ახლა ყველა რესპუბლიკის მშრომელთა ერთობლივი მეცადინეობით წყდება ისეთი დიდი საერთო-საკავშირო სახალხო-სამეურნეო ამოცანები, როგორიც არის ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის, ბამის ზონის სათბობ-ენერგეტიკული და ნედლეული სიმდიდრეების ათვისება, არაშავმიწანიადაგიანი ზონის განვითარება, რაც, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს მთლიანად ქვეყნის შემდგომ ეკონომიკურ აღმავლობას.

ქართველმა მშენებლებმა ბამზე 1975 წლიდან დაახლოებით 10 მილიონი მანეთი საერთო თანხის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულეს. როცა ირკუტსკის ოლქში ნია-გრუზინსკაია საექსპლოატაციოდ გადასცა, „საქმშენბამის" კოლექტივმა ვალდებულება იკისრა შექმნას კიდევ ერთი სადგურის კომპლექსი ჩიტის ოლქში.

საქართველოს წარგზავნილები წარმატებით მუშაობენ სხვა რესპუბლიკათა წარმომადგენლების მხარდამხარ რუსეთის ფედერაციის არაშავმიწანიადაგიან ზონაშიც.

საქართველოს კომკავშირმა ბამისა და არაშავმიწანიადაგიანი ზონის ობიექტებისადმი აქტიური შეფობა იკისრა.

სტუდენტთა სამშენებლო რაზმები იშრომებენ წელს სმოლენსკის, კურსკის, ჩიტის, ვოლოგდის ოლქებში, თათრეთის ასს რესპუბლიკაში. მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა 10 მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

საქართველოს სს რესპუბლიკის 150-ზე მეტი ქალაქი და რაიონი, სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო საწარმო და ორგანიზაცია, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ეჯიბრებიან ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მონათესავე კოლექტივებს, აგრეთვე ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებს.

მრომითი მეტოქეობის პირველი მერცხალი ჩვენში გახდა მახარაძის რაიონისა და უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის შეჯიბრება, რომელიც უკვე ორმოც წელზე მეტია გრძელდება.

რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი ეჯიბრება ბაქოს, ერევანს, რიგას, სვერდლოვსკს; ქუთაისელები 20 წელზე მეტია ეჯიბრე-

---

მოხსენება იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამის მიხედვით.

ტონს შემოქმედ ინტელიგენციასთან მუშაობაში.

ყოველდღიურ ყურადღებას მოითხოვს ათეისტური აღზრდა. მეტევის შესუსტებას, შენელებას ამ საქმეში შეიძლება არასასურველი შედეგები მოჰყვეს. რელიგიური ცრურწმენები შეგნების ყველაზე სიცოცხლისუნარიანი რუდიმენტია. შემთხვევით როდი მიმართავს სწორედ მათ იდეოლოგიური დივერსია, მათ ემყარებიან ნაციონალისტურად განწყობილი ელემენტები.

(დასასრული მე-4 გვ.).

აყვავებული მთიანი მხარე

პედაგოგიური კადრების სამჭედლო

რევოლუციამდე ვინ იფიქრებდა, რომ ოდესმე სამხრეთ ოსეთში უმაღლესი სასწავლებელი იქნებოდა? წინათ ოლქის მცხოვრებთა 5 პროცენტზე მეტმა წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ოლქი წინ წავიდა როგორც ეკონომიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით. ამ საიუბილეო წელს, მართლაცდა, გვაქვს საქმე საზეიმოდ, სასიხარულოდ! სამხრეთ ოსეთის ავტონომიის 60-ე წლისთავს დიდი წარმატებებით ეგებება ყველა მშრომელი. ჩვენ, განათლების, სწავლა-აღზრდის ფრონტის მუშაკებს, კიდევ ერთი საზეიმო თარიღიც გვაქვს: წელს აღინიშნება ჩვენი პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსების 50 წელი. ეს იქნება ჩვენი კულტურის, ჩვენი განათლების დიდი ზეიმი.

ნახევარი საუკუნის მანძილზე ჩვენმა ინსტიტუტმა ოლქისა და რესპუბლიკის რაიონის სკოლებს ათასობით კადრი მოუმზადა — ოსური, ქართული, რუსული, უცხო ენის, ისტორიის, ბიოლოგიის, ქიმია-ფიზიკის, მათემატიკის, გეოგრაფიის, ფიზკულტურის სპეციალობით.

თავის ღირსშესანიშნავ იუბილეს ინსტიტუტი ეგებება დიდი წარმატებებით როგორც სასწავლო-მეთოდიკურ, იდეურ-აღმზრდელობით, ისე სამეცნიერო დარგში. ინსტიტუტსა და ოლქის სკოლებში იმართება სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციები. სისტემატურად უმჯობესდება სასწავლო პროცესის ხარისხი. დღის განყოფილებაზე აკადემიური წარმატება სტაბილურად 93-94 პროცენტია. სულ უფრო ძლიერდება ინსტიტუტის კოლექტივი. თუ წინათ კადრების ნაკლებობის გამო უმეტესად თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან მოწვეული ლექტორები გვყავდა, ამ სასწავლო წელს მათი რიცხვი 5 პროცენტამდე შემცირდა. იზრდება ადგილობრივი კადრების რიგები. ამჟამად ორჯერ მეტი ხარისხდაცული მეცნიერი გვყავს, ვიდრე 1950 წელს.

...

ი. გაგლოითი,
სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი.

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო ანსამბლის „სიმდის" სოლისტები.

ამღერებული გული

„კომუნისტის" ინტერვიუ

რა მისცა ავტონომიამ ოს ხალხს კულტურისა და ხელოვნების სფეროში, როგორია განვლილი გზა და უახლოესი ამოცანები? ამ კითხვებზე „კომუნისტის" კორესპონდენტს უპასუხა კულტურის საოლქო განყოფილების გამგემ გ. ქოქოევმა.

— **მეფის** რუსეთში სამხრეთ...

...

თეატრის კოლექტივმა შეძლო სცენაზე მსოფლიო კლასიკური დრამატურგიის მნიშვნელოვანი დრამატული ნაწარმოებების მაღალპროფესიულ დონეზე წარმოდგენა. მაგალითად, ოსურად ამეტყველდა შექსპირის „ოტელო", „მაკბეტი", „ჰამლეტი", შილერის „ყაჩაღები", გოლდონის „ორი ბატონის მსახური", ...

ხალხის სამსახურში

...

ვითარების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს ღონისძიებებით, რომელთა განხორციელებაც სწრაფი... იისა და მთავრობის ასეთ ზრუნვას მამაცური შრომით უპასუხებენ მაღაროელები. ყოველდღიური გეგმები გადაჭარბებით სრულდება — ზეგეგმითი ძვირფასი მადანი დგება სამშობლოს სამსახურში.

მრავლდება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ყველაზე ახალგაზრდა საწარმოო კოლექტივის — ცხინვალის ტრიკოტაჟის საცვლების ფაბრიკის შრომითი წარმატებები.

ხუთწლედის მეორე წლის ხუთ თვეში რეალიზებულია 2.220 ათას მანეთზე მეტი ლირებულების პროდუქცია ანუ საგეგმო მაჩვენებელზე 82 ათასი მანეთით მეტი.

სურათებზე: შეჯიბრების მოწინავეები, მრავალდაზგოსანი მქსოველები ერმონია ყულუმბეგოვა, ფატიმა თედეევა, ინგა სანაკოევა, ანა ცარიტოვა და აზა კაბულაშვილი; ტრანსკავკასიის საავტომობილო გზის მშენებლობაზე; ზნაურის რაიონის სოფელ მუგუთის კოლმეურნეობის კომბაინერი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი უ. ქელეხსაევი.

ლ. გუსოევის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კოსტა ხეთაგუროვი

ოსეთო, შენთვის, აი, რა მინდა

ოსეთო, შენთვის იცი, რა მინდა:
რასაც მშობლისთვის შვილი
იამებს,
რომ გახსენებდნენ ყოველთვის
წმინდად
ჩვენშიც და სრულად
დედამიწაზეც,
ოსეთო, შენთვის, აი, რა მინდა!

ოსეთო, შენთვის, იცი, რა მინდა:
ბედნიერება შენს გზებს
ქსელავდეს
და მოღალანე ყანები მშვიდად,
მწვდებოდეს ცხენზე მჯდარსაც
უელამდე.
ოსეთო, შენთვის, აი, რა მინდა.

ოსეთო, შენთვის, იცი, რა
მინდა:
მწვანე მინდვრები, ცხვრით
დაფარული,
წყლები, თევზებით დამდგარნი
ბინდად
და შერხეული მათი მხარულით...
ოსეთო შენთვის, აი, რა მინდა.

ოსეთო, შენთვის, იცი, რა
მინდა:
რასაც ინატრებ მშვიდი
გუნებით,
ხედავდე, მზეში როგორ
გაბრწყინდა
მთის მწვერვალები გაუხუნები.
ოსეთო, შენთვის, აი, რა მინდა.

ოსეთო, შენთვის, იცი, რა მინდა:
მზე გადგეს მუდამ.
დაუძველები,
გამომშვენიერვალი თოვლიან
გზიდან
გჭვრიტავდნენ თვალს
ენძელები.
ოსეთო, შენთვის აი, რა მინდა!

ოსეთო, შენთვის, იცი, რა მინდა:
რასაც მშობლისთვის შვილი
იამებს,
რომ გახსენებდნენ ყოველთვის
წმინდად
ჩვენშიც და სრულად
დედამიწაზეც,
ოსეთო, შენთვის, აი რა მინდა!

თარგმნა
ბესიკ ხარანაულმა.

მთების ახალი სიცოცხლე

...

სოფელი ლონიერია...

...

მადლიერ შთამომავალთა ხსოვნაში

თბილისში, სხვადასხვა ეროვნების მრავალი პოეტის მიერ ხოტბაშესხმულ ქალაქში, დაიდგმება დიდი ოსი მამულიშვილის, მწერლისა და მხატვრის კოსტა ხეთაგუროვის ბიუსტი.

ლევ ტოლსტოისა და კოსტა ხეთაგუროვის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე სკვერში, სადაც 23 ...

...ვი ნაწარმოებებით იგი ხალხის გულში ცოცხლობს. თვითმპყრობელობის შეურიგებელი მტერი. კოსტა ხეთაგუროვი დიდად აფასებდა ხალხთა მეგობრობას, ნათელი მომავლის საწინდრად მიიჩნევდა მას. გავა ცოტა ხანი და აქ დაიდგმება მოძმე ოსი ხალხის სახელოვანი შვილის ბიუსტი — ...

...დლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მთავრობას, რომლებიც ნიადაგ ზრუნავენ ოსური კულტურის აყვავებისათვის, ოსი ხალხის სახელოვან მამულიშვილთა ხსოვნის უკვდავყოფისათვის.

... გრანიტის ლოდზე ქართულად და რუსულად ამოკვეთილია: „აქ აღიმართება დიდი ოსი მამულიშვილის კოსტა ხეთაგუროვის ძეგლი".

მიტინგს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე.

სურათზე: კოსტა ხეთაგუროვის ძეგლის საძირკვლის ჩაყრისადმი მიძღვნილი მიტინგი.
საქინფორმის ფოტო.



სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მზადება მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომი სრულყოფის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ეტაპია

(დასასრული)

და, ამასთან, ძალზე ხშირად ვხედავთ, თუ რა უცნაურ შემწყნარებლობას იჩენენ რელიგიურობის გამოცოცხლების ფაქტებისადმი. ის ინსტანციებიც კი, რომლებიც უნდა წინაალუდგნენ ასეთ რეციდივებს.

იდეოლოგიურ მუშაობაში ერებისა და ეროვნებების სპეციფიკურ ინტერესებს რომ ვითვალისწინებთ, უნდა გვახსოვდეს — არის მცდარად გაგებული ეროვნული ინტერესებიც, რომლებიც ვლინდება დრომოჭმული ყოფითი ტრადიციებითა და ჩვეულებებით, რელიგიური ცრურწმენებითა და სხვა გადმონაშთური მოვლენებით. ამ ინტერესებს, ჩვეულებრივ, გამოხატავენ იდეურად და პოლიტიკურად ჩამორჩენილი ადამიანები, რომელთა შეგნებაში ჯერ კიდევ ცოცხლობს ეროვნული შეზღუდულობის, ეროვნული ყოყოჩობის ელემენტები. ასეთი ადამიანები, რომლებიც სამშობლოს სიყვარულის წმიდათაწმიდა გრძნობებით ეწევიან სპეკულაციას, უფრო ხშირად თავიანთი ეგოისტური მიზნებით აბსურდამდე ამახინჯებენ თვით პატრიოტიზმის იდეასა და არსს. ამასთან ისინი ცდილობენ მიჩქმალონ ეროვნულ ურთიერთობათა კლასობრივი არსი, რასაც უცილობლად მოსდევს საკუთარი ხალხის ნამდვილად ეროვნული ინტერესების ღალატი.

აი, რატომ არის საჭირო მიზანმიმართული განმარტებითი მუშაობა მოსახლეობის ყველა ფენაში ეროვნულის ცნების ჰიპერტროფირებისადმი ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზების გასარკვევად.

სიმპტომურია, რომ ზემოთ ნახსენები გამოვლინებანი აშკარად უკავშირდება ლეგენდებს ეროვნული ხასიათის დათრგუნვის შესახებ, რომლებსაც ავრცელებენ ბურჟუაზიული პროპაგანდისტული ცენტრები. სწორედ ამიტომ ყველა დანაშაულსა და სამართალდარღვევას, ნეგატიურ ტენდენციების აშკარა და ფარულ გამოხატულებას მივიჩნევთ არა მარტო ანტისაზოგადოებრივ, ანტისახელმწიფოებრივ, არამედ ანტიეროვნულ მოვლენებადაც, რომლებიც ხელს უშლის ადამიანების ინტერნაციონალური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, სოციალისტური ცხოვრების წესის ნორმებისა და პრინციპების ყველგან დამკვიდრებას.

ეგოისტურ მისწრაფებებს შემთხვევით როდი ნიღბავენ ნაციონალისტური ლოზუნგებით. ეს ბურჟუაზიული იდეოლოგიური ცენტრების დიდი ხანია ცნობილი ანტისაბჭოური ტაქტიკა იმედს ამყარებს სუსტ, იდეურად მერყევ ადამიანებზე, განსაკუთრებით ახალგაზრდათა წრიდან.

ცილისწამების წინააღმდეგ ჩვენი პროპაგანდისა და კონტრპროპაგანდის საუკეთესო იარაღი, როგორც ყოველთვის, რეალური ფაქტები უნდა იყოს.

საჭირო არ არის ვამტკიცოთ, თუ რა განსაკუთრებულ, ბევრად განმსაზღვრელ როლს ასრულებენ ახალგაზრდობის მსოფლმხედველობის, მისი ზნეობრივი იერსახის ჩამოყალიბებაში ოჯახი და მშობლები.

როგორ არის დაყენებული აღზრდა ოჯახებში, როგორ ხდება ამ პროცესის რეგულირება და მართვა, როგორ გავზარდოთ საზოგადოების წინაშე მშობელთა პასუხისმგებლობა მოზარდი თაობის აღზრდისათვის — ეს საკითხები განიხილა ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ მიმართულებით ქალაქ თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიონული პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების მაგალითით.

ამ სფეროში საქმის ვითარების ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა განგვეზოგადებინა და დაგვესახა აღმზრდელობით პროცესში ოჯახის როლის ამაღლების ღონისძიებათა კომპლექსი.

მაგრამ საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ყველა პარტორგანიზაციამ ჯეროვნად როდი გაშალა მუშაობა დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად. არის იმის საშიშროება, რომ სათანადოდ ვერ აფასებენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს პრობლემა.

არადა, ახალგაზრდობის ზნეობრივი, მსოფლმხედველური, პოლიტიკური ჩამოყალიბება ხომ ის სფეროა, სადაც დაყოვნება ან ინერტულობა პირდაპირ ზიანს აყენებს საზოგადოებას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ იდეოლოგიურ, პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობაში პირველი მტერი ფორმალიზმია. პარტია დღენიადაგ გვაფრთხილებს, რომ ეს საშიშროება არის, რადგან ძნელია შემდეგ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელსაც აყენებს ფორმალური მიდგომა ნებისმიერ საქმეს და მით უმეტეს, ისეთ ცოცხალ, შეგნების ყველაზე ფაქიზ გამოვლინებებთან დაკავშირებულ საქმეს, როგორიც არის ინტერნაციონალური აღზრდა.

უპასუხისმგებლობა იქნებოდა განგვეცხადებინა, რომ ბოლო მოვუღეთ ფორმალიზმს აღმზრდელობით მუშაობაში. ალბათ არ არის არც ერთი იდეოლოგიური ღონისძიება, რომ არ გამოცხადებულიყოს ბრძოლა ფორმალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ხშირად ვფარგლავთ ხოლმე ამ საბრძოლო განწყობილებას მაღალფარდოვანი სიტყვებით და მივმართავთ შთამბეჭდავ სტატისტიკას: წაკითხულია ამდენი და ამდენი ლექცია, მოწყობილია ამდენი და ამდენი ღონისძიება. და რა ხშირად ეწინააღმდეგება პარადული სტატისტიკა ადგილებზე საქმის ნამდვილ ვითარებას. ცხოვრებამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ რაოდენობრივი კრიტერიუმი, ჩვეულებრივ, არაფერს გვეუბნება ხარისხზე, როცა საქმე ადამიანებთან აღმზრდელობით მუშაობას ეხება.

ფორმალიზმი მრავალსახოვანია თავისი გამოვლინებებით. ხშირად ვხედავთ თვალსაჩინო ადგილებზე გამოკიდებულ უამრავ ლოზუნგს, მოწოდებას. მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ვითარება ამით არსებითად არ იცვლება. მოწოდება მოუხმობს მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანები მასში ფორმას კი არა მთელი განმარტებითი, არგუმენტირებული მუშაობით დადასტურებულ შინაარსს ხედავენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე განვიხილეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სსრ კავშირის სასურსათო პროგრამისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების შესაბამისად.

ეს საკითხი საარსებოდ მნიშვნელოვანია და სავსებით ეხება იდეოლოგიურ, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. ამასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენებაში ჩამოყალიბებულია სასურსათო პროგრამის იდეოლოგიური უზრუნველყოფის ამოცანა: „ნათლად გავაგებინოთ ქალაქისა და სოფლის მშრომელებს დასახული პროგრამის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, საერთაშორისო მნიშვნელობა, მისი წარმატებით რეალიზაციის აუცილებლობა".

მოცემულ ეტაპზე პარტიის მიერ დასახული ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფა ჩვენთვის ერთობ სერიოზული გამოცდა იქნება იმ საქმეში, თუ როგორ მიმდინარეობს რესპუბლიკაში გარდაქმნა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი სრულყოფის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.

იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა უპირველესი ამოცანაა რაც შეიძლება უფრო აქტიურად გამოიყენონ მომავალი გრანდიოზული ინტერნაციონალური ზეიმის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის — დამრაზმველი ძალა.

სსრ კავშირის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით საიუბილეო ღონისძიებათა მომზადებისა და განხორციელების საკითხებს ყურადღება დაეთმო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI და VII პლენუმებზეც.

საიუბილეო ღონისძიებათა პროგრამა, რომელიც მრავალმხრივი კომპლექსია, ითვალისწინებს მის განხორციელებაში რესპუბლიკის უკლებლივ ყველა ორგანოსა და ორგანიზაციის, ყველა სამინისტროს, კომიტეტის, დაწესებულების მონაწილეობას.

თვისებრივად ახალ ელერადობას იძენს მუშაობის წინათ აპრობირებული ფორმები. კერძოდ, კოლექტივებს, რაიონებს, ქალაქებს, რეგიონებს შორის გაჩაღებული ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრების ფარგლებში შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანა შეჯიბრების მაღალმა პოლიტიკურ - აღმზრდელობითმა პოტენციალმა უნდა უზრუნველყოს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს გავითვალისწინოთ და გამოვიყენოთ მუშაობაში შეჯიბრების ორგანიზაციისათვის ახლა, როცა მიმდინარეობს საიუბილეო შრომითი ვახტი, როცა კონკრეტული ვითარება რესპუბლიკაში მოითხოვს ძალების მაქსიმალურ დაძაბვას, მაქსიმალურ უკუგებას, რისთვისაც პირდაპირ მოუწოდებს, საბჭოთა საქართველოს მუშებს, კოლმეურნეებს, სახალხო ინტელიგენციას, კომუნისტებსა და კომკავშირელებს, ყველა მშრომელს თავის მიმართვაში რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მზადების პროცესში ახალ ფორმებს გამოიყენებენ პარტიული კომიტეტების ლექტორთა ჯგუფები, მუშაობა უკვე წარმოებს, თანაც არა მარტო უშუალოდ მუშათა კოლექტივებში, არამედ საცხოვრებელ ადგილზეც, აგრეთვე მოსწავლე ახალგაზრდობაში. უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ეკონომისტების, ფილოსოფოსების, ისტორიკოსების მონაწილეობით მუდმივმოქმედი ლექტორიუმების, პარტიული სწავლების სისტემის, აგრეთვე რაიონებში შექმნილი საზოგადოებრივ - პოლიტიკური კლუბების შესაძლებლობანი.

პროპაგანდის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ყოველი მნიშვნელოვანი აქციის იდეოლოგიური უზრუნველყოფა ემოციური, მგზნებარე უნდა იყოს, ერთმანეთს უნდა უხამებდეს პრობლემის ღრმა დაყენებასა და ადამიანის საუკეთესო პატრიოტული გრძნობებისადმი მიმართული მოწოდების ძალას. ალბათ, ვერ დაასახელებ უკეთეს მაგალითს, ვიდრე ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, წარჩინებული მეჩაის თამარ ანდრიას ასული ყუფუნიას გამოსვლაა, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, გულგრილი არავინ დატოვებია.

ჩვენი იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტივშია დიდი დადებითი გამოცდილება, რომელსაც შემდგომი სრულყოფა სჭირდება, და რომელიც დღეს რესპუბლიკის ცხოვრებაში, მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ყველაზე პასუხსაგები ეტაპის მოთხოვნათა სამსახურში უნდა ჩავაყენოთ.

დარწმუნებული ვართ, რომ ღირსშესანიშნავი საიუბილეო ზეიმი, მისთვის მთელი მზადება თვისებრივად ახალ შინაარსს შესძენს ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდისათვის ჩვენს შემდგომ მუშაობას და, რაც მთავარია, უზრუნველყოფს იმათი მეცადინეობის მაღალ უკუგებას, ვინც ხალხისათვის მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს ქმნის.

სსრ კავშირის მე-60 წლისთავის დღესასწაულის შემდეგ კიდევ უფრო დიდ გაქანებას შეიძენს მუშაობა გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის. ჩვენთვის ეს ორი მოვლენა დღეს ორგანულად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, მათ ერთიანი ზნეობრივი და პოლიტიკური საფუძველი, ერთიანი შინაარსი აქვთ, რადგან [illegible] დამაჯერებლად [illegible] ძალა, ჩვენი წარმატებანი, ჩვენი მომავალი დიდ რუს ხალხთან, მოკავშირე რესპუბლიკების ყველა ხალხთან მეგობრობა და ძმობაა.

დღეს ამ დარბაზში თავმოყრილია რესპუბლიკის პარტიული და იდეოლოგიური აქტივი. მხოლოდ შინაგანი დისციპლინის, პასუხისმგებლობის, [illegible] ატმოსფერო, ყველა შრომით კოლექტივში ენთუზიაზმისა და თავდადების ატმოსფეროს შეუძლია უზრუნველყოს ყველა ღონისძიების განხორციელება, მათი დამრაზმველი გავლენა.

თქვენი ავტორიტეტული სიტყვა ადგილებზე უნდა იყოს დამაჯერებელი, თქვენი ორგანიზატორული მეცადინეობა — დაუცხრომელი.

თქვენი მაღალი მისიაა განავითაროთ ყოველივე პოზიტიური, რაც მოგვცა ინტერნაციონალიზმის პოლიტიკამ, ყოველივე ის, რაც მეგობრობითა და საერთო [illegible] შრომით არის შექმნილი. მხოლოდ ასე შეგვიძლია მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი მასებში იდეური სიმტკიცისა და შრომითი ენთუზიაზმის დამკვიდრებას, დავრაზმოთ ადამიანები ახალი მიღწევებისათვის.

საიუბილეო მზადება დღითიდღე ძლიერდება, სულ უფრო მასშტაბური ხდება. და ჩვენი უნარიანი და პროდუქტიული მუშაობა ბევრად უზრუნველყოფს იმის რწმენას, რომ **რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, ყველა მშრომელი საბჭოთა ქვეყნის იუბილეს ისე შეხვდებიან, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი ტრადიციები, როგორც ეს შეშვენის ორგზის ორდენოსან მრავალეროვან საბჭოთა საქართველოს.**

---

24 ივნისი

საერთაშორისო ცხოვრება დედამიწის ზურგზე

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

დიდი შეშფოთება

ნიუ-იორკი. ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. კუსუმაატმაჯამ გამოთქვა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა დიდი შეშფოთება იმის გამო, რომ ფართოვდება შეერთებული შტატებისა და ჩინეთის თანამშრომლობა. ყოველკვირეულ „ნიუსუიკისათვის" მიცემულ ინტერვიუში მან თქვა, რომ „ვაშინგტონი მსოფლიოში მომხდარ მოვლენებს გლობალური, ზესახელმწიფოებრივი ცნებებით აფასებს", ყველაფერს „მხოლოდ შავ-თეთრ ფერებად" აღიქვამს და ჩინეთთან თავის ურთიერთობას ანტისაბჭოურობის საფუძველზე წარმართავს. ასეთი პოლიტიკის პირობებში, — თქვა მინისტრმა, — უგულებელყოფილია აზიის სხვა ქვეყნები, რომლებიც სულ სხვანაირად უყურებენ ჩინეთს, ხოლო ასეანის წევრ სახელმწიფოებს, რომელთა შემადგენლობაში ინდონეზიაც შედის, მიაჩნიათ, რომ „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას უდიდეს საფრთხეს ჩინეთი უქადის".

მ. კუსუმაატმაჯამ არ დამალა, რომ ამ რეგიონალური დაჯგუფების წევრი ქვეყნების უმრავლესობა კატეგორიულად არ ეთანხმება საქმის ისე. წარმოჩენის ცდებს, თითქოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას სოციალისტური ვიეტნამი ემუქრებოდეს. მან აღნიშნა რომ ინდონეზიას ვიეტნამთან ბევრი რამ აქვს საერთო, მათ შორის ორივე ქვეყნის ისტორიული ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ახლო აღმოსავლეთი: ვაშინგტონის მხარდაჭერით

ბეირუთი. ეყრდნობიან რა ვაშინგტონის სამხედრო და დიპლომატიურ მხარდაჭერას, ისრაელი აგრესორები კვლავინდებურად თესენ სიკვდილს და ნგრევას ლიბანის მიწა-წყალზე.

22 ივნისს ისრაელის ჯავშანსატანკო ძალები ცდილობდნენ გაჭრილიყვნენ ქალაქ ალეისაკენ. საღამოს ისრაელის თვითმფრინავებმა დაბომბეს ბეირუთის მარ-ილიასის, რამლეთ ალ-ბაიდას, ფაქანის კოლას რაიონები, ბურჯ ალ-ბარაჯნეს ბანაკი, ბირ-ჰასანი და უზაი. ამავე დროს აღნიშნულ რაიონებს ცეცხლს უშენდნენ ზღვიდან და ბეირუთის შემოგარენიდან.

როგორც სირიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, ისრაელმა უხეშად დაარღვია 11 ივნისს მიღწეული მორიგება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ინტერვენტთა ჯარებმა ავიაციისა და არტილერიის მხარდაჭერით შეუტიეს არაბული ქვეყნების მშვიდობის შენარჩუნების ხელშემწყობი ძალების სირიის კონტინგენტის პოზიციებს მანსურიის რაიონში, ბეირუთ-დამასკოს სტრატეგიული გზატკეცილის მახლობლად. სირიის ნაწილები ბრძოლაში ჩაებნენ და უკუაგდეს აგრესორი. ისრაელის არტილერიამ ინტენსიური ცეცხლი დაუშინა აგრეთვე სირიის პოზიციებს ამ გზატკეცილის მახლობლად მდებარე დასახლებული პუნქტის ჰამანის რაიონში.

როგორც პალესტინის ვაფას სააგენტო იუწყება, ყველაზე ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა მანსურის რაიონში.

ისრაელმა, რომელმაც გვარიანი დანაკარგები განიცადა, 22 ივნისს საღამოს გამოაცხადა ახალი „ცეცხლის შეწყვეტა", მაგრამ, როგორც ცნობილია, ყოველ ასეთ „შეწყვეტას" აგრესორი აქამდე იყენებდა მიტაცებულ ტერიტორიაზე დასამკვიდრებლად, რეზერვების შემოსაერთებლად და ახალი ბანდიტური ოპერაციების მოსამზადებლად.

ამასობაში კი ისრაელის პრემიერი ბეგინი, როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი" აღნიშნავს, „ვაშინგტონიდან გამომგზავრა ფრიად კმაყოფილი იმით, რომ რეიგანმა ძირითადად მოუწონა ლიბანის კრიზისისადმი მიდგომა". იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ისრაელ ინტერვენტთა მიერ დანგრეული და ადგილობრივ მცხოვრებთაგან მიტოვებული ქალაქიდან — საიდიდან იუწყება, რომ ამ ქალაქის გავლით ჩრდილოეთისაკენ ბეირუთის მიმართულებით მიდიან ჯარისკაცთა სატვირთო ავტომობილებისა და ავტობუსების კოლონები, ასობით სანიტარული მანქანა, ტანკები, 155 მილიმეტრიანი ქვემეხები. როგორც ლონდონის „ტაიმსის" კორესპონდენტი აღნიშნავს, ამჟამად ისრაელს ლიბანში ჰყავს 1300 ტანკი, დაახლოებით ამდენივე ჯავშანტრანსპორტიორი და 12 ათასი სატვირთო ავტომანქანა.

ამერიკის სი-ბი-ეს ტელეკომპანია აღნიშნავს, რომ ისრაელის აგრესიის ძირითადი მიზანია „უფრო მჭიდროდ მოიქციოს ბლოკადის ალყაში ბეირუთი და აწარმოოს მოლაპარაკება ძალის პოზიციიდან".

● ნიკარაგუა

მთავრობის პროტესტი

ნიუ-იორკი. ნიკარაგუის მთავრობამ პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ შეერთებულმა შტატებმა ახალი მტრული აქცია ჩაიდინა ამ ქვეყნის წინააღმდეგ.

ნიკარაგუის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ხ. ჩამორო მორამ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აცნობებს, რომ ივნისის დამლევს ამერიკის სამხედრო ხომალდი შევიდა ნიკარაგუის ტერიტორიულ წყლებში, ხოლო 7 ივნისს მისი გემბანიდან აფრენილი ვერტმფრენი თავს დასტრიალებდა ნიკარაგუის საპატრულო გემს ნაპირიდან სამ მილზე. მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატების მთავრობას პროტესტი გაუგზავნეს ამ მტრული აქტის გამო, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდი 10 ივნისამდე დარჩა ნიკარაგუის ტერიტორიულ წყლებში.

როგორც წერილშია აღნიშნული, ეს ეპიზოდი არ შეიძლება არ დავუკავშიროთ ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილებას შექმნას სამხედრო ბაზა ფონსეკის ყურის ერთ-ერთ კუნძულზე, და ვაშინგტონის სხვა მოქმედებას, რომელიც ნიკარაგუის წინააღმდეგ არის მიმართული.

წერილში ყურადღებას მიაპყრობენ იმ ფაქტს, რომ ნიკარაგუის საწინააღმდეგო ახალი პროვოკაცია ჩადენილია იმ დროს, როცა ნიკარაგუის მთავრობა მოელის პასუხს ვაშინგტონისათვის გაგზავნილ უკანასკნელ წერილზე, სადაც სთავაზობს შეუდგნენ სერიოზულ მოლაპარაკებას გადასაჭრელი პრობლემების მოსაგვარებლად. ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება, აღნიშნულია წერილში, მიზნად ისახავს გააძლიეროს დაძაბულობა რეგიონში.

ინფლაციის შენელების საბაბით

კანბერა. ახალი ზელანდიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ქვეყანაში ერთი წლით უნდა „გაყინოს" ხელფასი, ფასები, მომსახურების ღირებულება, საბანკო დისკონტის განაკვეთი. ეს განაცხადა ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა რობერტ მალდუნმა.

ეროვნული ტელევიზიითა და რადიოთი გამოსვლისას მან თქვა, რომ „მთავრობის ამ კომპლექსური ღონისძიების მიზანია შენელოს ინფლაცია". ამჟამად ინფლაციამ აქ თითქმის 16 პროცენტს მიაღწია.

პრემიერ-მინისტრმა თქვა აგრეთვე, რომ შეამცირებს გადასახადებს. მაგრამ, ამგვარი დაპირებების მიუხედავად, ქვეყნის მშრომელი მასები ცნობას ხელფასის გაყინვის შესახებ უდიდესი შეშფოთებით შეხვდნენ. საქმე ის არის, რომ მთავრობამ თავისი აქციით პრაქტიკულად შეაჩერა უახლოეს მომავლისათვის გათვალისწინებული მეწარმეებისა და პროფკავშირების მოლაპარაკება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მომატების შესახებ.

აღიკვეთოს აგრესია!

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მტკიცე პროტესტი განაცხადა იმასთან დაკავშირებით, რომ ისრაელის ავიაციამ 22 ივნისს ბარბაროსულად დაბომბა ბეირუთის საცხოვრებელი უბნები, რის შედეგადაც მთლიანად დაინგრა ლიბანის დედაქალაქში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს შენობა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ნათქვამია ადნ-ის სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში, კვლავ მტკიცე პროტესტს აცხადებს ისრაელ აგრესორთა მოქმედების წინააღმდეგ, რომლებიც თელავენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს. იგი უფლებას იტოვებს განახორციელოს აქედან გამომდინარე საჭირო ღონისძიებანი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მოითხოვს უსწრაფესად შეწყდეს ისრაელის აგრესია ლიბანის წინააღმდეგ, ისრაელის ჯარები დაუყოვნებლივ გამოიყვანონ ამ ქვეყნის ტერიტორიიდან.

ფოტოფაქტი

ამერიკის მიწა-წყალზე ომის საწინააღმდეგო უველაზე მასობრივი მანიფესტაცია გაიმართა ნიუ-იორკში. მისმა მონაწილეებმა — ამერიკის ყველა შტატიდან ჩამოსულმა ამერიკელებმა, უცხოეთის ბევრი ქვეყნის წარმომადგენლებმა მოითხოვეს გამალებული შეიარაღების ალაგმვა, გულისწყრომით დაგმეს რეიგანის ადმინისტრაციის უგუნური პოლიტიკა, რომელიც კაცობრიობას ბირთვული კატასტროფის საფრთხეს უქადის.

● ●

სურათზე: დემონსტრანტთა ერთ-ერთი კოლონა მიემართება ნიუ-იორკის ცენტრალური პარკისაკენ, სადაც გრანდიოზული მიტინგი გაიმართა.

იუპი-საპრესის ფოტო.

● აშშ

მილიტარისტული ბიუჯეტი

ვაშინგტონი. დიდი გაჭიანურებისა და ფარული მანევრების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა 1983 საფინანსო წლის ფედერალური ბიუჯეტის პროექტის „კომპრომისული" ვარიანტი. მისი გასავლის ნაწილი შეადგენს 770 მილიარდ დოლარს, დეფიციტი — 103,9 მილიარდ დოლარს.

ბიუჯეტი აშკარად გამოხატულ ანტიხალხურ და მილიტარისტულ ხასიათს ატარებს. ინფლაციისა და ბიუჯეტის დეფიციტის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით პროექტი ითვალისწინებს დამატებით შემცირდეს მილიარდობით დოლარით საშინაო სოციალური პროგრამების ხარჯები, ესოდენ მწვავედ რომ სჭირდება ამერიკის მოსახლეობის ფართო მასებს. უწინარეს ყოვლისა, ეს არის ჯანმრთელობის დაცვა და განათლება, ღრმად მოხუცებულთა, ინვალიდთა, უმუშევართა დახმარება და ა. შ. ამავე დროს საგანგებოდ არის დათქმული, რომ ყოველწლიურად „რეალურად" გაიზარდოს ასიგნებანი მილიტარისტული მიზნების მისაღწევად, უწინარეს ყოვლისა, უახლეს სახეობათა იარაღის შექმნა-განვითარებისა და საომარი სამზადისის გააქტიურებისათვის. შემდეგ საფინანსო წელს სამხედრო ასიგნებანი კიდევ უფრო გადიდდება და მიაღწევს ასტრონომიულ თანხას — 263 მილიარდ დოლარს. ამ მილიტარისტული კურსის დასაფინანსებლად ნავარაუდევია თითქმის 21 მილიარდი დოლარით გაუდიდონ მოსახლეობას გადასახადი.

ამასთანავე ბიუჯეტი გამოხატავს შეერთებული შტატების უმწვავეს ფინანსურ-ეკონომიკურ სიძნელეებს, რომელთა თავი და თავია არამწარმოებლური სამხედრო ხარჯების უპრეცედენტო ზრდა. საკმარისია ითქვას, რომ კონგრესმენთა მიერ გათვალისწინებული დეფიციტი — 12,4 მილიარდი დოლარით აღემატება ადმინისტრაციის პირვანდელ „მონახაზს", რომელიც მან თებერვალში წარუდგინა კონგრესს. ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ეკონომიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით ბევრ სპეციალისტს მიაჩნია რომ ბიუჯეტის ფაქტობრივი დეფიციტი, ალბათ, ბევრად გადაამეტებს ქვეყნის ისტორიის მანძილზე იმ რეკორდულ თანხასაც კი, წინასწარ რომ დაგეგმეს კონგრესმენებმა.

მაგრამ ბიუჯეტის მიღება სულაც არ ნიშნავს, რომ ცხრება ოპოზიცია რეიგანის ადმინისტრაციის არაპოპულარული კურსისადმი. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ბიუჯეტის პროექტი წარმომადგენელთა პალატაში სულ ორი ხმის უმრავლესობით მოიწონეს. დემოკრატმა ნიუ-იორკის შტატისაგან კონგრესმენმა ტ. ვაისმა თქვა, რომ ეს ბიუჯეტი ეფუძნება მოტყუებას, გაბერილ ციფრებს, მცდარ წანამძღვრებსა და საეჭვო ვარაუდებს.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

დააპატიმრეს ლიდერი

თეირანი. ირანის ტერიტორიაზე მცხოვრები კაშკაის ტომების ლიდერი, ხოსროუ კაშკაი ხელისუფლებამ დააპატიმრა მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობისათვის. როგორც ირანის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, იგი შეიპყრეს საბრძოლო ოპერაციის დროს, რომელიც განახორციელა „ისლამური რევოლუციის გუშაგთა" კორპუსმა ფარსის პროვინციაში, სადაც ადგილობრივი ტომები დღემდე იბრძვიან ცენტრალური მთავრობის წინააღმდეგ.

სავალალო შედეგი

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ჯონ ნოტმა ახალი მონაცემები გამოაქვეყნა ინგლისის დანაკარგების შესახებ ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებისათვის ბრძოლაში. უპასუხებდა რა პარლამენტში დასმულ კითხვაზე, მან კერძოდ, აღიარა, რომ სამხრეთ ატლანტიკაში საომარი მოქმედების დროს ინგლისის 23 ნაღმოსნიდან და ფრეგატიდან ჩაიძირა ან დაზიანდა 16.

რეზოლუცია უარყვეს

პარიზი. საფრანგეთის ეროვნულ კრებაში გაიმართა კენჭისყრა მთავრობისადმი ნდობის საკითხზე. მემარჯვენე ოპოზიციური პარტიების — რესპუბლიკის მხარდამჭერი გაერთიანების და საფრანგეთის დემოკრატიისათვის კავშირის დეპუტატებმა შეიტანეს რეზოლუცია პ. მორუას კაბინეტისადმი უნდობლობის შესახებ, მკაცრად გააკრიტიკეს მისი ეკონომიკური პოლიტიკა. თავის მხრივ მთავრობამ დააყენა ნდობის საკითხი და დეპუტატებს შესთავაზა შეეფასებინათ მთავრობის ზოგადი საშინაო პოლიტიკა.

მემარცხენე პარტიების დეპუტატთა ხმის უმრავლესობით ეროვნულმა კრებამ უარყო ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია და ნდობა გამოუცხადა მთავრობას.

ყაბახი

ფეხბურთელთა XII მსოფლიო ჩემპიონატის ტაბლო

მატჩი № 28. ვიგო. იტალია-კამერუნი 1:1 (0:0). ბურთები გაიტანეს: იტალიელთაგან — გრაციანიმ (მე-60 წუთზე), კამერუნელთაგან — მბიდამ (61-ე).

მატჩი № 29. ალიკანტე. არგენტინა-სალვადორი 2:0 (1:0). ბურთები გაიტანეს პასარელამ (22-ე) და ბერტონიმ (53-ე).

მატჩი № 30. (სევილია). ბრაზილია-ახალი ზელანდია 4:0 (2:0). ბურთები გაიტანეს ზიკომ (29-ე და 31-ე), ფალკაომ (54-ე) და სერჟინიომ (69-ე).

ამრიგად, I, III და VI შერჩევით ჯგუფებში ტურნირები დამთავრდა. გთავაზობთ ამ ჯგუფების გათამაშების საბოლოო ცხრილებს:

I ჯგუფი

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	ად.
პოლონეთი	1	2	0	5-1	4	I
იტალია	0	3	0	2-2	3	II
კამერუნი	0	3	0	1-1	3	III
პერუ	0	2	1	2-6	2	IV

II ჯგუფი

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	ად.
ბელგია	2	1	0	3-1	5	I
არგენტინა	2	0	1	6-2	4	II
უნგრეთი	1	1	1	12-6	3	III
სალვადორი	0	0	3	1-13	0	IV

III ჯგუფი

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	ად.
ბრაზილია	3	0	0	10-2	6	I
სსრკ	1	1	1	6-4	3	II
შოტლანდია	1	1	1	8-8	3	III
ახ. ზელანდ.	0	0	3	2-12	0	IV

ამ ჯგუფებიდან მეორე ეტაპის მატჩებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს პოლონეთის, სსრ კავშირისა და ბელგიის გუნდებმა (ითამაშებენ „ა" ჯგუფში), აგრეთვე იტალიის, ბრაზილიისა და არგენტინის კოლექტივებმა (ითამაშებენ „ც" ჯგუფში). ხვალისთვის ცნობილი იქნება „ბ" და „დ" ჯგუფების მონაწილე გუნდების ვინაობაც. ზემოთ დასახელებული გუნდები შეიკრიბებიან ბარსელონაში და იქ განაგრძობენ მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლას, ხოლო „ბ" და „დ" ჯგუფებისა — მადრიდში. სსრ კავშირის ნაკრები პირველ მატჩს 1 ივლისს გამართავს. მისი მეტოქე იქნება პოლონეთ-ბელგიის მატჩში (ითამაშებენ 28 ივნისს) დამარცხებული. თუ ამ გუნდების შეხვედრა ფრედ დამთავრდება, მაშინ საბჭოთა ფეხბურთელების პირველი მეტოქეები იქნებიან პოლონელები. 4 ივლისს ჩვენი მოწინააღმდეგე იქნება ბელგიის ან პოლონეთის ნაკრები. ბარსელონაში ჩასვლამდე საბჭოთა ფეხბურთელებს მალაგაში ექნებათ საწვრთნელი შეკრება.

რედაქტორი
გ. გედინეიშვილი.

ტელევიზია

25 ივნისი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია", 9.45 — ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები, 11.20 — ჰონდურასისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები. მე-2 ტაიმი. 12,10 და 15.30 — ახალი ამბები, 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმი „კომპეტენტური აზრი", 16.20 — პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის VII საერთაშორისო კონკურსი, 16.50 — მოსკოვის ოლქი, სასურსათო პროგრამა მოქმედებს. გადაცემაში მონაწილეობს პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. კონოტოპი, 17.20 — იაკუტიის ასსრ ტელევიზიის პროგრამა, რომელიც ეძღვნება იაკუტიის ასს რესპუბლიკის შექმნის მე-60 წლისთავს და რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში იაკუტიის ნებაყოფლობით შესვლის 350-ე წლისთავს, 19.15 — თანამეგობრობა. გადაცემაში მონაწილეობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ვ. ტალიზინი, 19.45 — დღეს მსოფლიოში, 20.00 — ხალხური მელოდიები, 20.15 — ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ავსტრიის ნაკრები გუნდები, 22.00 — „ვრემია", 22.35 — კინოპანორამა, 24.00 — ესპანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები გუნდები. შესვენებისას (00.45) — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში, 9.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები, 9.45 — მხატვრული ტელეფილმი „მეგობარ-ამხანაგებზე". მე-2 სერია, 10.50 — ი. ს. ტურგენევი. ცხოვრებისა და შემოქმედების ფურცლები, 11.35 — გერმანული ენა, 12.05 — საჭადრაკო სკოლა, 12.35 — მხატვრული ტელეფილმი „მე მოვედი", 13.40 — ესთეტიკური აღზრდა. ადამიანი და ნივთები, 14.10 — მულტფილმი „ალისა საოცრებების ქვეყანაში", 14.40 და 16.20 — დოკუმენტური ტელეფილმები, 15.40 — ფილმ-კონცერტი „ნ. რიმსკი-კორსაკოვის სახლში", 16.40 და 19.00 — ახალი ამბები, 19.05 — ურალის რუსული ხალხური გუნდის კონცერტი, 19.50 — კინომოგზაურობის კლუბი, 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!", 21.15 — მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის სიმღერის და ცეკვის ეროვნული ანსამბლის კონცერტი, 22.00 — „ვრემია", 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „გაუფრთხილდით ქალებს". პირველი და მეორე სერია.

25 ივნისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.), 9.45 — ფეხბურთი მსოფლიო პირველობაზე: საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები. განმეორებით (მ.), 11.20 — ფეხბურთი მსოფლიო პირველობაზე: ჰონდურასისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები. მეორე ტაიმი (გადმოცემა ესპანეთიდან), 12.10 — „მოამბე", 12.40 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის — „ცისკარა". კინოჟურნალი „ვარსკვლავა", 13.30 — სტუდენტებისათვის — უმაღლესი მათემატიკა, 14.00 — მხატვრული ფილმი „სანიკოვის მიწა", 15.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ტყის წვიმა", 16.00 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — დოკუმენტური ფილმები „მე თქვენ შეგხვდით" და „ყოველდღე და მთელი სიცოცხლე", 17.00 — განცხადებები, 17.05 — ბავშვებისათვის — „ჩვენი თეატრი" — „გამოსაშვები საღამოს შემდეგ", 18.30 — „ვერნისაჟი" — სამხრეთ ოსეთის მხატვართა გამოფენაზე (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის მე-60 წლისთავისათვის), 19.00 — კონცერტი მერვე სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით, 19.45 — „მოამბე", 20.15 — ფეხბურთი მსოფლიო პირველობაზე: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ავსტრიის ნაკრები გუნდები (გადმოცემა ესპანეთიდან). შესვენების დროს — „სასურსათო პროგრამა საერთო-სახალხო საქმეა" — „ვენახი-82", 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „ხალხური შემოქმედება" — „ჩვალთაი" (ეძღვნება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის მე-60 წლისთავს), 23.15 — სტუდიაშია ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ბონვარონი", 23.45 — ახალი ამბები, 24.00 — ფეხბურთი მსოფლიო პირველობაზე: ესპანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები გუნდები (გადმოცემა ესპანეთიდან).

КОМУНИСТИ ИНДЕКС уэ 08358 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20